ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის” პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 15 ნოემბრის სხდომის № 01-03/05 ოქმის დანართი N1

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკა

2022

სარჩევი

მუხლი 1.	ზოგადი დებულებები	1
მუხლი 2.	სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკის მიზნები	1
მუხლი 3.	უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის განხორციელების პრინციპები	1
მუხლი 4.	უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები	2
მუხლი 5.	სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები	2
მუხლი 6.	პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები	3
მუხლი 7.	კვლევითი მიზნების შესრულების მონიტორინგი	4
მუხლი 8.	დასკვნითი დებულებები	4
დანართი 1 - კვლევის ხელშეწყობის მექანიზმების მიღწევის ამოცანები		5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე პოლიტიკა განსაზღვრავს შპს ,,ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში" (შემდეგში - ,,უნივერსიტეტი" ან ,,ავიცენა") სამეცნიერო კვლევის განხორციელების ხელშემწყობი ღონისძიებების სპექტრს, ადგენს მედიცინის დარგის თანამედროვე გამოწვევებზე და რეგიონის საჭიროებებზე დაფუძნებულ საუნივერსიტეტო კვლევის პრიორიტეტებს, ასევე, ითვალისწინებს უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობებს უნივერსიტეტისა და მისი პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებების თუ საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული მსგავსი შინაარსის კვლევების განხორციელებისათვის.

1.2. წინამდებარე პოლიტიკა გამომდინარეობს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და აზუსტებს სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემულ კვლევის ხელშეწყობის, კვლევით სფეროში თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებებს.

მუხლი 2. სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკის მიზნები

2.1. ავიცენას სამეცნიერო კვლევის განვითარების წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის ძირითადი მიზნებია:

ა) უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის განვითარება;

ბ) აქტუალური, გამოყენებითი, რეგიონის საჭიროებაზე მორგებული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო კვლევების განხორციელების ხელშეწყობა;

გ) უნივერსიტეტის საერთაშორისო სამედიცინო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება;

დ) უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი პროფილისა და კვლევითი საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლება;

ე) სწავლა-სწავლების პროცესში სამეცნიერო კვლევის შედეგების ინტეგრაციის უზრუნველყოფა;

ვ) კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია.

მუხლი 3. უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის განხორციელების პრინციპები

3.1. უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის განხორციელების მთავარი პრინციპებია:

ა) გამჭვირვალობა, აკადემიური კეთილსინდისიერება და ანგარიშვალდებულება უნივერსიტეტის რექტორთან და აკადემიურ საბჭოსთან;

ბ) კვლევის პროცესის უნივერსიტეტის მხრიდან მხარდაჭერა როგორც ორგანიზაციულ დონეზე, ასევე კვლევის დაფინანსების კუთხით;

გ) სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევაში;

დ) კვლევის ინტერნაციონალიზაცია;

ე) კვლევის შედეგების ობიექტური შეფასება;

ვ) კვლევის განხორციელება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად.

მუხლი 4. უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები

4.1. უნივერისტეტის კვლევითი პრიორიტეტებია რეგიონში ჯანდაცვის სფეროში არსებული კვლევითი მიმართულებები (უნივერსიტეტის ჯანმრთელობის და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ მოძიებული და გაანალიზებული).

4.2. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული კვლევითი მიმართულებები მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვას, ბიომედიცინასა და კლინიკურ მედიცინას; მათ შორის, პრიორიტეტულად მიჩნეულ იქნა აკადემიური პერსონალის მიერ უკვე განხორციელებული სამეცნიერო-კველევითი აქტივობის განვითარება შემდეგ მიმართულებებში:

1. რესპირაციულ და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან ასოცირებული ბიომარკერების და მათი მასინთეზირებელი გენეტიკური ლოკუსების შესწავლა;
2. ბრონქული ასთმის და ფქოდის რეგიონალური, ეპიდემიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური მარკერების გამოვლენა, პრევენცია და მართვა
3. პოსტ-კოვიდური პოპულაციური ჯანმრთელობა;
4. ღვიძლის ტრანსპლანტაცია და იმუნოლოგია;
5. პრეპუბერტული და პუბერტული ასაკის ბავშვთა ზრდა-განვითარება, გლობალური განვითარება;
6. გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ბიომარკერები და გენეტიკური ასპექტები.
7. სიმსივნის სკრინინგი ასიმპტომურ პოპულაციაში მრავლობითი სიმსივნის მარკერის გამოყენებით;
8. კოაგულოპათიების კვლევა სხვადასხვა კოჰორტაში.

ასევე, გლობალური ჯანდაცვისა და რეგიონის სამედიცინო საჭიროებების გათვალისწინებით, სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტად შერჩეულია შემდეგი მიმართულებები

9. ადიქტოლოგია;
10. შაქრიანი დიაბეტი და თირეოდოლოგია;
11. ჰაერისა და ზღვის წყლის დაბინძურების კვლევა;
12. ქალთა უფლებები და ფემიციდის პრევენცია.

მუხლი 5. სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები

5.1. ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმებია:

ა) უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში კვლევის მხარდამჭერი სტრუქტურის - ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არსებობა;

ბ) კვლევის მხარდამჭერი მექანიზმების - კვლევის საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემის დანერგვა;

გ) უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა (ტრენინგები/გადამზადება);

დ) უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად სამეცნიერო კვლევის განხორციელება;

ე) უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერა;

ვ) კვლევით სფეროში ადგილობრივი პარტნიორების ქსელის ფორმირება;

ზ) კვლევით სფეროში საერთაშორისო პარტნიორების ქსელის ფორმირება;

თ) ეროვნულ/ადგილობრივ კვლევით საგრანტო კონკურსებში უნივერსიტეტის მონაწილეობა;

ი) საერთაშორისო კვლევით საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა;

კ) კვლევის შედეგების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირება;

ლ) უნივერსიტეტის მიერ განსახორციელებელ კვლევებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;

მ) კვლევის შედეგების და კვლევითი პროდუქტიულობის ობიექტური შეფასების სისტემის დანერგვა;

ნ) კვლევის ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების მაღალი სტანდარტების დაცვა.

5.2. წარმოდგენილი კვლევის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმების შესაბამისად, უნივერსიტეტში შემუშავებულია ამ მექანიზმების შესაბამისი განვითარების ამოცანები (წინამდებარე პოლიტიკის **დანართი** 1)

მუხლი 6. პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები

6.1. ავიცენას სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხიმგებელია უნივერსიტეტის ჯანმრთელობის და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის რექტორი, რექტორის მოადგილეები და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული - მედიცინის სკოლა, ავიცენას სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე პოლიტიკის გათვალისწინებით, ურთიერთთანამშრომლობის, გამჭვირვალობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

6.2. კვლევითი აქტივობების კოორდინირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში - ცენტრი).

ცენტრის საქმიანობა განისაზღვრება უნივერსიტეტის დებულებითა და ცენტრის დებულებით.

მუხლი 7. კვლევითი მიზნების შესრულების მონიტორინგი

7.1. კვლევითი მიზნების შესრულების მონიტორინგი გულისხმობს უნივერსიტეტის კვლევების განვითარებისა და ხელშეწყობის პოლიტიკისა და მასში ასახული ამოცანების შესრულების ანგარიშგებასა და კონტროლს, უნივერსიტეტის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად;

7.2. პოლიტიკის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

7.3. თითოეული აკადემიური წლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში უნივერსიტეტის კვლევითი პოლიტიკით განსაზღვრული ამოცანების კოორდინირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული (ცენტრი) აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით რექტორის მოადგილეს წარუდგენს ინფორმაციას შესრულებული, მიმდინარე და შეუსრულებელი ამოცანების შესახებ, ასევე ინფორმაციას სხვა სტრუქტურული ერთეულების/სტუდენტების კვლევითი ამოცანების შესრულებაში ჩართვის, მათი თანამშრომლობის ხარისხისა და ეფექტურობის შესახებ.

7.4. უნივერსიტეტის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, კვლევით აქტივობაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის ანგარიშის შეფასების შედეგად შემუშავებული დასკვნის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტის რექტორსა და აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კვლევის პოლიტიკის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, რომელშიც აღიწერება ინფორმაცია შესრულებული და შეუსრულებელი ამოცანების და სამომავლოდ გათვალისწინებული აქტივობების შესახებ.

7.5. კვლევის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით რექტორის მოადგილის ანგარიშის განხილვის შედეგად აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული კვლევითი ამოცანების გეგმ(ებ)ის შეცვლის თაობაზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. სამეცნიერო კვლევის განვითარების წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად მიღებული და დამტკიცებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების მიერ და ძალაშია მისი დამტკიცებისთანავე.

8.2. აკადემიური საბჭოს ფორმირების შემდეგ პოლიტიკის მოდიფიცირებული რედაქციის, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა-დამტკიცებას ახორციელებს აკადემიური საბჭო.

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკის

დანართი 1

კვლევის ხელშეწყობის მექანიზმების მიღწევის ამოცანები

1. უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში უნივერსიტეტის დებულებით გათვალისწინებული, კვლევის მხარდამჭერი სტრუქტურის - ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (შემდეგში - ცენტრი) საქმიანობის დაწყება (გააქტიურება):

   1.1. ცენტრის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის შემუშავება;

   1.2. ცენტრის პერსონალით დაკომპლექტება;

   1.3. ცენტრის სამოქმედო გეგმის შემუშავება.

2. **კვლევის მხარდამჭერი მექანიზმების - კვლევის საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემის დანერგვა:**

   2.1. კვლევის მხარდამჭერი საუნივერსიტეტო მექანიზმების - საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების დაფინანსების (კონკურსის) წესის დამტკიცება;

   2.2. საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების დაფინანსებისათვის უნივერსიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის გათვალისწინება;

   2.3. საუნივერსიტეტო კვლევითი საგრანტო კონკურსების პერიოდული ჩატარება.

3. **უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი უნარების განვითარება:**

   3.1. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევა;

   3.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი უნარების განსავითარებელი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვა;

3.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის გასაზრდელად და საჭიროების გათვალისწინებით მათი პროფესიული გადამზადება.

4. კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად სამეცნიერო კვლევის განხორციელება:

4.1. კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად კვლევითი აქტივობების გეგმის განსაზღვრა აკადემიური საბჭოს მიერ;

4.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის კვლევითი კონკურსების გამოცხადება კვლევითი აქტივობების გეგმისა და კვლევითი ბიუჯეტის შესაბამისად;

4.3. კვლევის შედეგების გავრცელება (გამოქვეყნება, პუბლიკაცია) სამეცნიერო წრეებში და ფართო საზოგადოებისთვის.

5. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერა:

5.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სხვა კვლევითი აქტივობების - სტატიების, საკონფერენციო მოხსენების და სხვა - განხორციელების მხარდაჭერა;

5.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევის პროცესში პარტნიორი კლინიკური ბაზების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

5.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა კვლევითი საგრანტო განაცხადების შემუშავების პროცესში.

6. კვლევით სფეროში ადგილობრივი პარტნიორების ქსელის ფორმირება:

6.1. ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება სამეცნიერო კვლევის ნაწილში;

6.2. საუნივერსიტეტო კლინიკების ჩართვა უნივერსიტეტი კვლევით აქტივობებში;

6.3. ადგილობრივ კვლევითი დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება სამეცნიერო კვლევის ნაწილში;

6.4. ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება სამეცნიერო კვლევის ნაწილში.

7. კვლევით სფეროში საერთაშორისო პარტნიორების ქსელის ფორმირება:

7.1. საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება სამეცნიერო კვლევის ნაწილში;

7.2. საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარება სამეცნიერო კვლევის ნაწილში.

8. ადგილობრივ კვლევით საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა:

8.1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსებისთვის პროექტების მომზადება.

8.2. აჭარის ა.რ. მთავრობის კონკურსებისთვის პროექტების მომზადება.

8.3. სხვა დონორების სამეცნიერო კვლევითი კონკურსებისათვის პროექტების მომზადება.

9. საერთაშორისო კვლევით საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა:

9.1. Jean Monnet საგრანტო პროექტისთვის განაცხადების მომზადება;

9.2. სხვა დონორების სამეცნიერო კვლევითი კონკურსებისათვის პროექტების მომზადება.

10. კვლევის შედეგების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირება:

10.1. საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევითი პროექტის გათვალისწინება;

10.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგი სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების ხელმძღვანელობაზე;

10.3. სტუდენტთა კვლევის დაფინანსების მექანიზმის შემუშავება.

11. სტუდენტების ჩართვა კვლევაში

11.1. სტუდენტთა კურიკულუმგარე კვლევითი კონკურსებისა და აქტივობების ორგანიზება;

11.2. სტუდენტთა წახალისება უნივერსიტეტის გარეთ კვლევით აქტივობებში მონაწილეობისთვის;

11.3. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება.

12. კვლევის შედეგების და კვლევითი პროდუქტიულობის ობიექტური შეფასების სისტემის დანერგვა:

12.1. კვლევის პროდუქტიულობის შეფასების გათვალისწინება ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში;

12.2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდული ანგარიშგება კვლევითი პროდუქტიულობის შესახებ;

12.3. ინსტიტუციური კვლევითი ანგარიშის ყოველწლიურად გამოქვეყნება.

13. კვლევის ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების მაღალი სტანდარტების დაცვა:

13.1. პლაგიატის საწინააღმდეგო ელექტრონული სისტემის ამოქმედება;

13.2. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა/აკადემიური პატიოსნების სტანდარტების მიღება;

13.3. სამეცნიერო კვლევის ეთიკის სტანდარტების მიღება.